საგაზეთო ჩანართი

ინტელექტი

ნაბიჯ-ნაბიჯ რეალური თვითმმართველობისაკენ

№8 / 2010

„როცა საკრებულოს თავმჯდომარე ხარ, პასუხისმგებლობა დიდია“

ანუ თემის რწმუნებულობიდან საკრებულოს თავმჯდომარეობამდე

მალხაზ ფარტენაძე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

საქმესთან მკაცრი, მეგობრობაში ლმობიერი, მოსახლეობასთან უბრალო – ასე ახასიათებენ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, მალხაზ ფარტენაძეს. იგი, სანამ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატად აირჩევდნენ, ამავე მუნიციპალიტეტის შარაბიძეების თემის რწმუნებულად მუშაობდა. ამბობს, რომ საკრებულოს წევრად კენჭისყრის ინიციატივაც ხალხისგან წამოვიდა და მისი სურვილი არ ყოფილა.

„შარაბიძეები პატარა თემი არ არის. აქ 4 000-მდე კომლი და 13 000-მდე კაცი ცხოვრობს. ყველა სოფელში, ყველა გვარში მეგობრები მყავს. თემში არ არის ისეთი ოჯახი, სადაც არ ვყოფილვარ. თითოეული ოჯახის პრობლემას ვიცნობ და მეც მათსავით მტკივა გასაჭირი. მოსახლეობას არ უყვარს ქედმაღლური საუბარი, როცა ზევიდან უყურებენ... ხალხთან ყოველთვის ახლოს ვიყავი, მათთან ურთიერთობა არ გამჭირვებია“ – გვითხრა შარაბიძეების თემის ყოფილმა რწმუნებულმა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ამჟამინდელმა თავმჯდომარემ, მალხაზ ფარტენაძემ. იგი შარაბიძეების თემს 3 წლის განმავლობაში კურირებდა. 2010 წლის 28 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე კენჭს შარაბიძეების მაჟორიტარ კანდიდატად იყრიდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან და მისი ნაბიჯი წარმატებული აღმოჩნდა – ხალხმა აირჩია!

მალხაზ ფარტენაძე: „კენჭისყრაში მონაწილეობა ჩემი სურვილი არ ყოფილა. ინიციატივა ხალხისგან წამოვიდა. შარაბიძეების თემის მოსახლეობას სურდა, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მათი წარმომადგენელი მე ვყოფილიყავი და ასეც მოხდა“. ასეთი პატივი თავისი ამომრჩევლებისგან რით დაიმსახურა, არ იცის: „ხალხს უნდა ჰკითხოთ... საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს. შეიძლება ჩემთან მოსულ კაცს ვერ დავეხმარო, მაგრამ მაინც კმაყოფილი მიდის, რადგან მისი ტკივილი გულთან ახლოს მიმაქვს. მთავარი ხალხთან მიდგომა და ლაპარაკია. ხალხს მისთვის გასაგები ენით უნდა ელაპარაკო“.

მას გათავისებული აქვს, რომ ხელვაჩაური სპეციფიკური მუნიციპალიტეტია და თავისებური მიდგომა სჭირდება: „ხელვაჩაური დიდი მუნიციპალიტეტია და პრობლემებიც ბევრი აქვს. ახლა ერთ თემზე კი არა, მთლიანად მუნიციპალიტეტზე უნდა ვიზრუნო. ჩვენთან არის სამრეწველო, ტურისტული ზონა... შესაბამისად თავისებური მიდგომა უნდა. სოფლებში ძირითადად შიდა გზების მოწესრიგებისა და წყლის პრობლემებია. მაქსიმალურად ვცდილობთ მათ აღმოფხვრას. რომ ვთქვა ერთ ან ორ წელიწადში ყველა პრობლემა მოგვარდება, სიცრუე იქნება, რადგან ასეთი რამ ევროპის ქვეყნებშიც არ ხდება“.

სწორედ ხელვაჩაურის სპეციფიკიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, მიუხედავად მიღების ოფიციალური საათებისა, სოფლიდან ჩამოსული გლეხისთვის კარი ყოველთვის ღია აქვს: „მოსახლეობისთვის მიღების საათები შეზღუდული არ მაქვს. პიროვნება, რომელიც სოფლიდან ჩამოვიდა და თავისი სატკივარი უნდა მითხრას, ვცდილობ, ნებისმიერ დროს მივიღო, გვერდით დავუდგე თუ შემიძლია. ხალხის პრობლემა ყოველთვის მიმაქვს გულთან. თუ მე ვერ გადავუწყვეტ, ვცდილობ ზემდგომ ორგანოებში დავაყენო მისი საკითხი. ხმამაღლა ნათქვამში ნუ ჩამითვლით, მაგრამ ჩემი ხალხისთვის ბოლომდე დავიხარჯები“.

„როცა საკრებულოს თავმჯდომარე ხარ, პასუხისმგებლობა დიდია“ – ამბობს თემის ყოფილი რწმუნებული. მაღალ თანამდებობაზე პასუხისმგებლობასთან ერთად საქმეც ბევრი აქვს და მოსახლეობასთან შესახვედრად ძველებურად ველარ იცლის: „ხალხს ისე ხშირად ველარ ვხვდები, როგორც თემის რწმუნებულობის დროს. თუ რამე განსაკუთრებული პრობლემა იქნება, მაშინ გავდივარ ადგილზე და ვაგვარებ“.

მალხაზ ფარტენაძეს თავის დადებით თვისებად მიაჩნია ის, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მოუსმინოს. მაგრამ როცა საქმე „საქმეს“ ეხება, მკაცრია: „საქმე საქმეა, გასაკეთებელი უნდა გაკეთდეს. პასუხი ყველას თანამდებობრივი პასუხისმგებლობის შესაბამისად მოეთხოვება. ყველა თანამშრომელმა უნდა იცოდეს დაკისრებული მოვალეობა და ფუნქციები საკრებულოში“.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობას დადებითად აფასებს და მიიჩნევს, რომ ურთიერთობას კარგი შედეგი მოაქვს: „ბევრი ორგანიზაცია მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებისთვის, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი – „ინტელექტი“. ამ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ადგილობრივი თვითმმართველობები ბევრს იგებს: ტრენინგებზე ვიღებთ ცოდნას. პირადად მე ვცდილობ ყველა შემოთავაზებულ ტრენინგს დავესწრო. თემმა რაც არ უნდა ნაცნობი იყოს, რაღაც ახალს და განსხვავებულს მაინც აღმოაჩენ. ამიტომაც მივესალმები ასეთ ინიციატივებს. მესამე სექტორთან ურთიერთობაში არც განსხვავებულ პროექტებში მონაწილეობაზე ვამბობთ უარს და ვცდილობ, ეს ყველაფერი ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის გამოვიყენო“.

მალხაზ ფარტენაძემ გაზეთ „ინტელექტთან“ საუბარში ქალაქ ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საზღვრებზეც გაამახვილა ყურადღება. ახლახან ბათუმს ხელვაჩაურიდან რამდენიმე ჰექტარი ტერიტორია გადასცეს ურეხის, მახინჯაურის თემიდან და გონიო-კვარიათის მიმართულებით. მან ეს საკითხი ადლიის მაგალითზე განიხილა: „იქ ახლა ახალი ბულვარია. ინფრასტრუქტურა განვითარდა და ამით ხალხმაც მოიგო, რადგან მეტი ტურისტი შევიდა. ანალოგიური სიტუაცია იქნება გონიო-კვარიათშიც. ეს ადგილებიც უნდა განვითარდეს, რასაც დიდი ინვესტიცია სჭირდება. ქალაქის გადასახედდიდან სხვა ხედვაა. ქალაქში არ უნდა არსებობდეს უსაფალტო გზა. შესაბამისად ჩვენ მიერ ქალაქისთვის გადაცემულ ტერიტორიებზე ეს პრობლემა მოგვარდება. მერე ერთიანი პარკი უნდა გაშენდეს... აქ კეთებაზეა ლაპარაკი“. იგი ამ საკითხთან მიმართებაში არ იზიარებს იმპოზიციის აზრს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შემცირებასთან დაკავშირებით და ირწმუნება, რომ „ერთ-ორ წელიწადში ისინიც აზრს შეიცვლიან, როცა საქმეს გაკეთებულს ნახავენ! ქალაქში უფრო მეტი ინვესტიცია შემოდის, ვიდრე რაიონში. ეს გადაწყვეტილება იმიტომ მივიღეთ, რომ ხალხმა უკეთესად იცხოვროს. ჩვენი მიზანი ეს არის! ჩვენი მუნიციპალიტეტი არავისზე ნაკლებად არ გვიყვარს, მაგრამ ასე ჯობდა ხალხის კეთილდღეობისთვის“.

კონკურსი საკრებულოს საუკეთესო წევრის გამოსავლენად

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი – „ინტელექტი“ პროექტის – „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ ფარგლებში მორიგ კონკურსს იწყებს საკრებულოს წევრებისთვის. აჭარის რეგიონის თითოეულ მუნიციპალიტეტში გამოვლინდება ერთი (სულ 5 გამარჯვებული) საუკეთესო საკრებულოს წევრი (ქობულეთის საკრებულოში – 30, ხელვაჩაურში – 23, ხულოში – 23, შუახევში – 19 და ქედაში 19 წევრია), რომელსაც გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატი და ფასიანი საჩუქარი.

საკრებულოს საუკეთესო წევრს „ინტელექტი“ მისი საქმიანობის შეფასების შედეგად გამოავლენს. ამ შემთხვევაში შეფასების კრიტერიუმი იქნება საკრებულოს სხდომებზე დასწრების რაოდენობა, საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტის მომზადება და მისი ინიცირება, ფრაქციებსა და დროებით სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა, საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირისადმი წერილობითი მიმართვა და მიღებული პასუხები, მოქალაქეთა წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა, საკრებულოში შეტანილი სამართლებრივი აქტის პროექტები და წინადადებები, საკრებულოს სხდომაზე განსახილველად დასმული საკითხების რაოდენობა და საკრებულოსთვის მოქალაქეთა წერილების გაცნობა.

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი – „ინტელექტი“ ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების წყაროდ გამოიყენებს საკრებულოს სხდომის ოქმებს, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების სხდომების ოქმებს, საკრებულოს კანცელარიიდან გასულ და კანცელარიაში შესულ წერილებს.

საკრებულოს წევრების გამოკითხვის შედეგები

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა – ,,ინტელექტმა“ პროექტის – ,,ჩვენი არჩევანი რეალური თვითმმართველობა“ ფარგლებში ახალარჩეული საკრებულოების ინსტიტუციონალური და მართვის შესაძლებლობების განვითარებისათვის, საკრებულოს წევრებსა და მოსახლეობას შორის ურთიერთქმედების, კომუნიკაციისა და უკუკავშირის ეფექტური სისტემების დანერგვისათვის ყოველი სამიზნე მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩაატარა კვლევა საკრებულოს წევრების კომპეტენციის დონის შეფასებისა და მათთვის ჩასატარებელი ტრენინგების სფეროების განსაზღვრის მიზნით.

კვლევების დასრულების შემდეგ განისაზღვრა ის სფეროები და საკითხები, რომლებზეც საკრებულოს ახალარჩეული წევრებისთვის ჩატარდება ტრენინგები.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სულ 84-მა საკრებულოს წევრმა, მათ შორის:

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოდან17-მა წევრმა (საკრებულოში სულ 23 წევრია). ანკეტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

1. გამოკითხული საკრებულოს წევრების უმრავლესობას – 15 წევრს აქვს უმაღლესი განათლება, მხოლოდ ორ წევრს აქვს საშუალო განათლება;

2. გამოკითხვაში მონაწილე საკრებულოს წევრების უმეტესობა – რვა წევრი პროფესიით არის პედაგოგი, სამი – ინჟინერია, ერთი – ეკონომისტი, ერთი – ექიმი-ვეტერინარი, ერთი – იურისტი, ერთი წევრი კი – ჟურნალისტი;

3. საკრებულოს გამოკითხული წევრთაგან 14 წევრი პირველადაა არჩეული, ხოლო სამი წევრი მეორე მონაწევეის საკრებულოს წევრია;

4. გამოკითხვაში მონაწილე საკრებულოს ექვსი წევრი მიიჩნევს, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას წარმოქმნილი პრობლემები დაკავშირებულია ,,მოსახლეობის არასაკმარის ცოდნასთან საკრებულოს ფუნქციებისა და ამოცანების შესახებ“, ორმა წევრმა აღნიშნა, რომ პრობლემები დაკავშირებულია საკანონმდებლო ხარვეზთან და მოსახლეობის არასაკმარის ცოდნასთან საკრებულოს ფუნქციებისა და ამოცანების შესახებ, ერთმა წევრმა საკანონმდებლო ხარვეზთან დაკავშირა, ორმა წევრმა კი – არასაკმარის გამოცდილებასთან კონკრეტულ საკითხებთან და მოსახლეობის არასაკმარის ცოდნასთან საკრებულოს ფუნქციებისა და ამოცანების შესახებ, ოცმა წევრმა – ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოუთითა, ოთხმა – ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებულ ,,მოსახლეობის არასაკმარის ცოდნა საკრებულოს ფუნქციებისა და ამოცანების შესახებ“, ერთმა – ,,ადგილობრივი ინფრასტრუქტურა“ ,,ადგილობრივი ინფრასტრუქტურა“ ,,ადგილობრივი ინფრასტრუქტურა“